

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 233

30 დეკემბერი 2016 წელი

ქალაქი ქუთაისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლისა 1 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ერთის მხრივ ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ მმართველის ელისო ქაროსანიძის სახით (უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი ქალაქ ქუთაისის მერის 2015 წლის 12 ივნისის #3 138 ბრძანება; მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3; ს/კ 412678348; ტელ: 0431240508) (შემდგომში „შემსყიდველი“)

მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ტვ კომი“ ს/კ 212847614 დირექტორის შალვა ხურციძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“)

ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“-ათვის სატელევიზიო საკაბელო მომსახურების გაწევა (ერთი თვე 36 ოცდათექსმეტი ლარი) რომლის საერთო ღირებულებაც 432 (ოთხასოცდათორმეტი) ლარი.

1.2 კლასიფიკატორის კოდი - CPV 92230000

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 „შემსყიდველის“ მხრიდან „მიმწოდებლის“ მიერ მოსაწოდებელი, ან მოწოდებულ მომსახურებაზე კონტროლს განახორციელებს ააიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ შესყიდვების მთავარი სპეციალისტი ლევან ხვადაგანი.

2.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია შეუფერხებლად აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. მიწოდების პროცესში მიმწოდებელი და შემსყიდველი საჭიროების შემთხვევაში განიხილავენ მიწოდებისათვის გაწევის ვადაში ცვლილებების შეტანის საკითხს.

3. გარანტია

3.1 „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მომსახურება გაწეული იქნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით, ხელშეკრულების შესაბამისად.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას გადახედოს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის საკითხს.

4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორება ხორციელდება „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ფინანსური დოკუმენტის საფუძველზე.

4.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო

4.3 ანგარიშსწორების ვადაა გაწეული მომსახურების აქტის დამტკიცებიდან 10 სამუშაო დღე.

5. მომსახურების გაწევის ვადები

5.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, შესრულებულმა შეუსრულოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.

5.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი“ მომსახურების მიღებას მოახდენს ყოველთვიურად 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. ფასები

7.1 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები.

7.2 გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

7.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის პირობებში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.

8.1.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

8.3 იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა თვეში გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. მხარეთა უფლება მოვალეობები

9.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის «ფორს-მაჟორი» ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღალავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.



11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებოდნენ ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. გამოყენებული სამართალი

12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1 მიმწოდებელი ვალდებულია კანონით დადგენილი გადასახადების, გადასახდელების გადახდაზე.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
<p>ააიპ "ქალაქ ქუთაისის კულტურულ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება" ს/კ412678348;</p> <p>იურიდ. მის: ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ.#3;</p> <p>ტელეფონი (0431)24 05 08</p> <p>ბანკი: საქართველოს ხაზინა TRESGE22 სახაზინო კოდი (742967519) ააიპ "ქალაქ ქუთაისის კულტურულ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების"</p> <p>მმართველი  /ელისო ქაროსანიძე/</p>	<p>შ.პ.ს. „ტვ კომი“ ს/კ 212847614</p> <p>იურ. მის. ქუთაისი, ჭავჭავაძის გ. №57-59 (38ა-39)/27</p> <p>ტელეფონი (0431) 27 62 88</p> <p>სს „ბანკი რესპუბლიკა“ კოდი REPLGE22 GE90BR 0000 0102 7561 3968</p> <p>შპს-ს ტელეკომუნიკაციები  შალვა ხურციძე /</p>